

ABC ბანკის აუდიტის კომიტეტის წესდება

საბჭოს მიერ დამტკიცების თარიღი: DD/MM/YYYY

ა. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტში აღწერილია ABC ბანკის აუდიტის კომიტეტის (შემდგომში - „კომიტეტი“) წესდების ძირითადი დებულებები, რომლებიც დაყოფილია შემდეგ ნაწილებად:

- აუდიტის კომიტეტის ფუნქციები და მოვალეობები;
- კომიტეტის შემადგენლობა;
- კომიტეტის სამუშაო პროცედურები;
- სხვა საქმიანობა.

აუდიტის კომიტეტის წინამდებარე წესდება სავალდებულოა ABC ბანკისთვის და ეფუძნება კაპიტალის ბაზრების მარეგულირებელი ორგანოს (CMA) მოთხოვნებს, ცენტრალური ბანკის დირექტივებსა და ნორმატიულ აქტებს, ასევე ABC ბანკის წესდებს.

ბ. კომიტეტის ფუნქციები და მოვალეობები

ბ1. კომიტეტის ზოგადი ფუნქციები და მოვალეობები. კომიტეტის ევალუა საბჭოს დახმარება ბანკის ფინანსური კონტროლის სისტემაზე ზედამხედველობის გაწევაში, რაშიც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა: (1) შიდა კონტროლისა და ფინანსური ანგარიშების მთლიანობას; (2) ბანკის გარე აუდიტორის კვალიფიკაციასა და დამოუკიდებლობას; და (3) ბანკის შიდა აუდიტის განყოფილებისა და მისი გარე აუდიტორის საქმიანობას.

დაკისრებული ფუნქციის შესასრულებლად კომიტეტს უნდა გააჩნდეს შემდეგი უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა:

- ბანკის შიდა კონტროლის სისტემების მიმოხილვა;
- შიდა აუდიტის განყოფილების (შიდა აუდიტორის) ანგარიშების, მათ შორის ფინანსური და არაფინანსური საკითხების, რემედიაციის პროცედურების და ბანკის წინაშე მდგარი რისკების კონტროლის მექანიზმების მიმოხილვა;
- საბჭოსთვის, აქციონერებისა და სხვა მომხმარებლებისთვის მიწოდებული ფინანსური ანგარიშგების სისწორის მიმოხილვა;
- საბჭოსა და აქციონერებისთვის მიწოდებული ბანკის წლიური და ნახევარწლიური ფინანსური ანგარიშგებისა და სხვა ფინანსური ინფორმაციის მიმოხილვა;
- გარე აუდიტის გეგმის მიმოხილვა და იმის შემოწმება, რომ გეგმა მოიცავს ბანკის ყველა საქმიანობას;
- ბუღალტრული აღრიცხვის სიზუსტისა და მთლიანობის და ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების დაცვის უზრუნველყოფა;
- ინფორმაციის გამჟღავნებისა და გამჭვირვალობის სტანდარტების შემუშავება და საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენა;
- რისკების მართვის კომიტეტთან შეთანხმებულად მოქმედება ბანკის ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შედეგების წარმოსაჩენად;
- ბანკში მოქმედი ფინანსური სისტემის შესწავლა, მის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციების შემუშავება და იმის უზრუნველყოფა, რომ ფინანსური ინფორმაცია სამართლიანად წარმოაჩენდეს მდგომარეობას და გაყალბებული მონაცემები არ იყოს წარდგენილი;

- ისეთი სისტემის დანერგვა, რომელიც დასაქმებულებს საშუალებას მისცემს, ფარულად წარადგინონ ანგარიში პოტენციური დარღვევების საფრთხეების შესახებ, იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს დამოუკიდებელი გამოკვლევის ჩატარება, ამ საფრთხეებზე დაკვირვება და თვალყურის დევნება, მაგრამ დასაქმებულებს არ ეშინოდეთ ზედამხედველების მხრიდან დასჯის ან კოლეგების მხრიდან ქედმაღლური ყურების. აუდიტის კომიტეტმა უნდა აწარმოოს აღნიშნული პროცედურების შესრულების მონიტორინგი;
- მეკავშირის როლის შესრულება დირექტორთა საბჭოსა და გარე აუდიტორს, დირექტორთა საბჭოსა და შიდა აუდიტორს და შიდა და გარე აუდიტორებს შორის;
- თვალყურის დევნება ბანკის მიერ თავისი პროფესიული ქცევის კოდექსის დაცვაზე;
- დირექტორთა საბჭოს ინფორმირება ისეთი საკითხების შესახებ, რომლებიც დაუყოვნებლივ ჩარევას საჭიროებს და რეკომენდაციების შეთავაზება სათანადო გამოსასწორებელი ზომების შესახებ;
- აუდიტის კომიტეტმა დირექტორთა საბჭოს ანგარიში უნდა წარუდგინოს ნებისმიერი საკითხის შესახებ, რომელიც მისი კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება. ამით კომიტეტი საშუალებას აძლევს დირექტორთა საბჭოს თვალყური ადევნოს ბანკის ხელმძღვანელობას და წარუდგენს ფაქტობრივ და დოკუმენტირებულ ინფორმაციას აქციონერებსა და ინვესტორებს. კომიტეტი უფლებამოსილია, განახორციელოს წინამდებარე წესდებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საქმიანობა საბჭოს მოთხოვნისამებრ, ან ABC ბანკის კორპორაციული მართვის კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად.

ბ2. კონკრეტული პასუხისმგებლობა: გარე აუდიტის ფუნქცია. აუდიტის კომიტეტი ზედამხედველობას უწევს ბანკის გარე აუდიტორის სამუშაოს. გარე აუდიტორისთვის დადგენილი წინაპირობები, მისი ფუნქციები და ვალდებულებები აღწერილია წინამდებარე წესდების „ა“ დანართში. კომიტეტი პასუხისმგებელია:

- მიმოიხილოს ბანკის აუდიტორის წლიური სამუშაო პროგრამის მომზადებისა და შესრულების პროცესი;
- მიმოიხილოს გარე აუდიტორის უფლებამოსილებები და საბჭოს და წლიურ საერთო კრებას წარუდგინოს კომიტეტის რეკომენდაციები, რომლებიც ეხება აუდიტის გარიგების საზღაურსა და დამოუკიდებელი გარე აუდიტორის მომსახურების ზოგად პირობებს;
- ყოველწლიურად მიმოიხილოს გარე აუდიტორის ანგარიში, სადაც აღწერილია ყველა ის ურთიერთობა, რომელიც გარე აუდიტორს აქვს ბანკთან, მის ხელმძღვანელობასთან, აქციონერებთან ან სხვა დაკავშირებულ მხარეებთან, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს გარე აუდიტორების დამოუკიდებლობაზე;
- ყოველწლიურად მიმოიხილოს გარე აუდიტორის ანგარიში, სადაც აღწერილია გარე აუდიტორის ხარისხის კონტროლის პროცედურები და მეთოდები, უახლოეს პერიოდში ჩატარებული მისი ხარისხის კონტროლის მიმოხილვის ან კოლეგიალური შეფასების შედეგად წამოჭრილი/გამოვლენილი ნებისმიერი არსებითი საკითხი, სახელმწიფო ორგანოების ან პროფესიული სტანდარტების საბჭოს მიერ ჩატარებული ნებისმიერი გამოკითხვა ან გამოკვლევა, რომელიც ეხება გარე აუდიტორების მიერ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ჩატარებულ აუდიტს და ამ ტიპის საკითხების გადასაჭრელად გადადგმული ყველა ნაბიჯი;
- მიმოიხილოს ბანკის ხელმძღვანელობის მიერ გარე აუდიტორისთვის შეთავაზებული ყველა არააუდიტორული მომსახურების პირობები, შეაფასოს ამგვარი მომსახურება ბანკის პოლიტიკის შესაბამისად, რომელიც ეხება დამოუკიდებელ გარე აუდიტორს და დირექტორთა საბჭოს აცნობოს კომიტეტის მოსაზრება იმის შესახებ, უნდა მოიწვიოს თუ არა ბანკმა გარე აუდიტორი ამ ტიპის მომსახურების შესასრულებლად;

- ყოველწლიურად შეაფასოს გარე აუდიტორის კვალიფიკაცია, დამოუკიდებლობა, მისი საქმიანობის შედეგები და საბჭოსა და წლიურ საერთო კრებას წარუდგინოს ანგარიში კომიტეტის მოსაზრების შესახებ გარე აუდიტორს საქმიანობის შედეგებისა და დამოუკიდებლობის ადეკვატურობასთან დაკავშირებით. ამგვარი ანგარიში უნდა მოიცავდეს კომიტეტის რეკომენდაციებს გარე აუდიტორის ხელახლა დანიშვნის ან განთავისუფლების და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფირმის შეცვლის შესახებ.
- ყოველწლიურად მიმოიხილოს ბანკის პოლიტიკა, რომელიც ეხება გარე აუდიტორის შერჩევას, გარე აუდიტორისა და აუდიტის პარტნიორების როტაციას და საბჭოს მიაწოდოს კომიტეტის რეკომენდაციები ამგვარი პოლიტიკის ნებისმიერი აუცილებელი ცვლილების შემთხვევაში; და
- ბანკის ხელმძღვანელობასთან, გარე აუდიტორთან, შიდა აუდიტისა და ფინანსური კონტროლის განყოფილებასთან ერთად ყოველწლიურად განიხილოს:
 - ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხები, რომლებიც გამოვლინდა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას და ხელმძღვანელობის მიერ ჩატარებული ყველა მნიშვნელოვანი განსჯა და მიღებული გადაწყვეტილებები;
 - ძირითადი საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ბანკის ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პრინციპებსა და მათ პრაქტიკაში გამოყენებასთან, მათ შორის ყველა ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, ასევე აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და პრაქტიკული მეთოდების მნიშვნელოვანი ცვლილებები, შემოთავაზებული გარე აუდიტორის, ბანკის შიდა აუდიტისა და ფინანსური კონტროლის განყოფილებების, ან ბანკის ხელმძღვანელობის მიერ;
 - აუდიტის ნებისმიერი პრობლემა ან სირთულე, რომელსაც გარე აუდიტორი წააწყდა ბანკში მასზე დაკისრებული სამუშაოს შესრულებისას, მათ შორის გარე აუდიტორის სამუშაოს მასშტაბის შეზღუდვები, პერსონალთან ან ინფორმაციასთან წვდომის შეზღუდვები და ბანკის ხელმძღვანელობასთან ან შიდა აუდიტისა და ფინანსური კონტროლის განყოფილებების თანამაშრომლებთან უთანხმოებები; და
 - მარეგულირებელი ან ბუღალტრული აღრიცხვის ორგანოების მიერ შეთავაზებული ან სამოქმედოდ შემოღებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები, რომლის შესახებაც ინფორმირებულია გარე აუდიტორი, ბანკის ხელმძღვანელობა, ბანკის შიდა აუდიტის განყოფილება, ფინანსური კონტროლის განყოფილება ან დირექტორთა საბჭო.

ბ3. კონკრეტული პასუხისმგებლობა: შიდა კონტროლი და შიდა აუდიტი

აუდიტის კომიტეტმა უნდა:

- მიმოიხილოს ბანკის ფინანსურ დირექტორთან (CFO), მის შიდა აუდიტისა და ფინანსური კონტროლის განყოფილებებსა და ნებისმიერ სხვა დაინტერესებულ მხარესთან ერთად ბანკის შიდა კონტროლის ხარისხი და ადეკვატურობა;
- მიმოიხილოს ბანკის შიდა აუდიტორთან/შიდა აუდიტის განყოფილებასთან ერთად ბანკის შიდა აუდიტის წლიური სამუშაო პროგრამის მომზადებისა და განხორციელების პროცესი და მისი შედეგები, ასევე შიდა აუდიტორის/შიდა აუდიტის განყოფილების მიერ შესრულებული ნებისმიერი სხვა მომსახურება, რომელიც გათვალისწინებული არ იყო ზემოაღნიშნულ წლიურ პროგრამაში; და
- მიმოიხილოს ბანკის შიდა აუდიტორთან ერთად და დირექტორთა საბჭოს წარუდგინოს ანგარიში ბანკის შიდა აუდიტის განყოფილების სტრუქტურის, მოვალეობების, კადრებით უზრუნველყოფის, მისი რესურსებისა და საქმიანობის შესახებ. ამგვარი მიმოხილვა უნდა მოიცავდეს განყოფილების უფროსის საქმიანობის შედეგებისა და კვალიფიკაციის ყოველწლიურ შეფასებას.
- შეაფასოს ფინანსური მენეჯერისა და მისი პერსონალის საქმიანობის შედეგები.

ბ4. კონკრეტული პასუხისმგებლობა: ფინანსური ანგარიშგება.

აუდიტის კომიტეტმა უნდა:

- შეაფასოს ნებისმიერი რთული ან არაორდინარული ოპერაციის გავლენა ბანკის ფინანსურ ანგარიშგებაზე, როგორცაა, მაგალითად რესტრუქტურისაციის ხარჯები და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება;
- განიხილოს ბანკის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული განსჯა, მათ შორის აქტივებისა და ვალდებულებების ნებისმიერი შეფასება; საგარანტიო, პროდუქტის ან გარემოს-დაცვითი ვალდებულება; რეზერვი სასამართლოს ხარჯებისთვის და სხვა სახელშეკრულებო ან პირობითი ვალდებულებები;
- შეაფასოს წინასწარი ან შუალედური ფინანსური ანგარიშგებებისა და განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებული ინფორმაციის სამართლიანობა, ბანკის ხელმძღვანელობის, გარე აუდიტორისა და ბანკის შიდა აუდიტორის/შიდა აუდიტის განყოფილებისგან მოიპოვოს ახსნა-განმარტებები იმის შესახებ:
 - მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა თუ არა შუალედური პერიოდის ფაქტობრივი ფინანსური შედეგები საბიუჯეტო ან პროგნოზირებული შედეგებისგან;
 - შეესაბამება თუ არა შუალედური ფინანსური ანგარიშგების ფინანსური კოეფიციენტებისა და თანაფარდობების ცვლილებები ბანკის ოპერაციებისა და დაფინანსების მექანიზმების ცვლილებებს;
 - თანმიმდევრულად გამოიყენება თუ არა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRSs) და ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IASs); და
 - ბანკის წინასწარი განცხადებები და შუალედური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა ადეკვატურ და სათანადო ინფორმაციას.

გ. კომიტეტის შემადგენლობა

გ1. შემადგენლობა. კომიტეტი უნდა შედგებოდეს საბჭოს არანაკლებ სამი წევრისაგან, რომლებიც საბჭომ უნდა დანიშნოს. სულ მცირე ერთი წევრი უნდა იყოს ფინანსური და ბუღალტრული აღრიცხვის სფეროების ექსპერტი/სპეციალისტი და უნდა შეეძლოს ბანკის წინაშე მდგარი რისკების შეფასება. კომიტეტის ყველა წევრი უნდა იყოს დირექტორი, მათი კომპეტენციისა და გამოცდილების საფუძველზე შერჩეული. კომიტეტის წევრთა უმრავლესობა, მათ შორის კომიტეტის თავმჯდომარე დამოუკიდებელი დირექტორები უნდა იყვნენ. საბჭოს დირექტორებმა უნდა აირჩიონ კომიტეტის თავმჯდომარე.

საბჭომ ყოველ წელს ხელახლა უნდა დაამტკიცოს კომიტეტის წევრების შემადგენლობა და, საჭიროებისამებრ, შეიტანოს დამატება ან ცვლილება. კომიტეტის წევრისთვის წევრად ყოფნის ვადა შეზღუდული არ არის.

დ. კომიტეტის სამუშაო პროცედურები

დ1. სიხშირე. კომიტეტი უნდა შეიკრიბოს საჭიროებისამებრ, მაგრამ არა ნაკლებ წელიწადში 4-ჯერ. შეძლებისდაგვარად, სხდომები წინასწარ უნდა დაიგეგმოს წლიური კალენდრის მიხედვით და საჭიროებისამებრ შეიცვალოს, რათა კომიტეტის საქმიანობამ მოიცვას წლის განმავლობაში გამოვლენილი ნებისმიერი საკითხი ან თემა, რომელიც კომიტეტის ყურადღებას/ჩარევას მოითხოვს.

დ2. ინფორმირება სხდომის მოწვევის შესახებ და დღის წესრიგი. კომიტეტის სხდომებს იწვევს კომიტეტის თავმჯდომარე. თავმჯდომარის მიერ განსაზღვრული გადაუდებელი შემთხვევების გარდა, დღის წესრიგი

და შესაბამისი დოკუმენტაცია ყოველთვის ეგზავნება ყველა წევრს სხდომის თარიღამდე სულ მცირე 3-5 დღით ადრე.

დ3. სხდომის მასალა. კომპანიის მდივანი კომიტეტის ყველა წევრს დროულად (კერძოდ, 3-5 დღით ადრე) აწვდის მოკლე, მაგრამ ამომწურავ ინფორმაციას: დღის წესრიგს, კომიტეტის წინა სხდომის ოქმს, სხდომაზე განსახილველი საკითხების დოკუმენტებს და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ სხვა ანგარიშებს. განსახილველი საკითხების დოკუმენტები უნდა იყოს ლაკონიური, საზრიანი და მოიცავდეს სათანადო ანალიზზე დაფუძნებულ რეკომენდაციებს შესაძლო ქმედებების შესახებ.

დ4. სხდომის ჩატარების ადგილი. როგორც წესი, კომიტეტის სხდომები იმართება ბანკის ოფისებში, მაგრამ შეიძლება ჩატარდეს სხვაგანაც. გარდა ამისა, კომიტეტის სხდომები შეიძლება ჩატარდეს ტელეკონფერენციის, ვიდეოკონფერენციის ან კომუნიკაციის ნებისმიერი სხვა საშუალების გამოყენებით, იმ პირობით, თუ ყველა მონაწილეს შეეძლება ერთმანეთთან ერთდროულად კომუნიკაცია.

დ5. სხდომაზე დასწრებისა და დაშვების პირობები: მინდობილობის წერილის საფუძველზე, სხდომაზე კომიტეტის წევრს შეიძლება წარმოადგენდეს კომიტეტის სხვა წევრი. კომიტეტის თავმჯდომარის ნებართვის საფუძველზე კომიტეტის სხდომებზე დასწრების უფლება აქვთ სხვა პირებსაც, რომლებიც არ არიან კომიტეტის წევრები (მაგ., საბჭოს სხვა წევრები, აღმასრულებელი პირები ან სხვა გარე პირები).

დ6. ქვორუმი და კენჭისყრა. ქვორუმს ქმნის დამსწრე წევრთა (პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით) უმრავლესობა. კომიტეტის თითოეულ წევრს ერთი ხმა აქვს. საბჭოს ყველა გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. ხმათა თანაბარი რაოდენობის შემთხვევაში, გამამწყვეტი ხმა აქვს კომიტეტის თავმჯდომარეს.

დ7. ოქმი. ოქმი უნდა შედგეს კომიტეტის ყოველი სხდომისა და სხდომის გარეშე მიღებული ყველა გადაწყვეტილებისთვის. თავმჯდომარის და კიდევ ერთი სხვა წევრის მიერ დამტკიცებული ოქმი შემდგომში ემატება ბანკის დოკუმენტაციას და მომდევნო სხდომაზე გავრცელდება. კომიტეტის ყველა წევრმა უნდა მიიღოს ოქმის ასლი.

დ8. კომიტეტის მხარდაჭერა. კომიტეტს გარკვეული ფუნქციების შესრულებაში შესაძლებელია დაეხმაროს კომპანიის მდივანი ან კომიტეტის მიერ განსაზღვრული სხვა კომპეტენტური პირი, მათ შორის ინფორმაციის მიწოდებაში, დღის წესრიგის მომზადებაში, სხდომების შესახებ ანგარიშის მომზადებაში, დირექტორთა საბჭოს მუშაობის ყოველწლიური შეფასებებისა და სწავლების პროგრამების ორგანიზებაში.

ე. სხვა საქმიანობა

ე1. დამოუკიდებელი კონსულტანტები. კომიტეტს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს დაიქირავოს დამოუკიდებელი კონსულტანტები, საჭიროებსამებრ, ხოლო ბანკმა უნდა უზრუნველყოს ამგვარი დამოუკიდებელი გარე კონსულტანტების ანაზღაურების დაფინანსება, რომელსაც კომიტეტი განსაზღვრავს. გარდა ამისა, ბანკი ფარავს ასევე ჩვეულებრივ ადმინისტრაციულ ხარჯებს, რომელსაც კომიტეტი ეწევა თავისი მოვალეობების შესრულებისას.

ე2. კომიტეტის ანგარიშვალდებულება. კომიტეტის თავმჯდომარე, კომიტეტის ყოველი სხდომის შემდეგ, მომდევნო სხდომაზე საბჭოს წარუდგენს ანგარიშს სხდომაზე განხილული საკითხების შესახებ. გარდა ამისა, კომიტეტი საბჭოს წარუდგენს მოკლე წლიურ ანგარიშს თავისი საქმიანობის შესახებ. ამ თვალსაზრისით, კომიტეტი ყოველწლიურად უნდა იხილავდეს წინამდებარე წესდების ადეკვატურობას და საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენდეს რეკომენდაციებს ნებისმიერი ცვლილების შესახებ,

რომელსაც მიზანშეწონილად მიიჩნევს. კომიტეტი ზედამხედველობას უწევს მოცემული წესდების ადეკვატურობის მიმოხილვისა და შეფასების პროცესს, რომელიც უნდა ტარდებოდეს სულ მცირე წელიწადში ერთხელ მაინც, აგრეთვე წესდების ნებისმიერი გაუმჯობესების პროცესს, რომელსაც კომიტეტი მიიჩნევს საჭიროდ და მნიშვნელოვნად. გარდა ამისა, კომიტეტი ამზადებს ანგარიშს ABC ბანკის კორპორაციული მართვის შესახებ, რომელიც უნდა აისახოს წლიურ ანგარიშში.

ე3. ინფორმაციის გამჟღავნება. ABC ბანკის წლიური ანგარიში უნდა მოიცავდეს აუდიტის კომიტეტის ანგარიშს, რომელშიც მოკლედ აღწერილი იქნება კომიტეტის ფუნქციები, მოვალეობები და წლის განმავლობაში კომიტეტის მიერ განხორციელებული საქმიანობა. გარდა ამისა, ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას კომიტეტის წევრების ვინაობის, კვალიფიკაციისა და სხდომების ჩატარების სიხშირის შესახებ.

ე4. ცვლილება. მოცემული წესდება ძალაში შევა დირექტორთა საბჭოს მიერ დამტკიცებისთანავე. წესდებაში ცვლილებები შეიძლება ნებისმიერ დროს შევიდეს დირექტორთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

ა დანართი

1. გარე აუდიტორი. გარე აუდიტორი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ წინაპირობებს:

- უნდა ფლობდეს შესაბამისი უფლებამოსილი ოფიციალური ორგანოს ან პროფესიული ორგანიზაციის მიერ გაცემულ პროფესიულ ლიცენზიას;
- შეყვანილი უნდა იყოს ცენტრალური ბანკის მიერ დამტკიცებულ გარე აუდიტორთა რეესტრში. ცენტრალურ ბანკს ყოველწლიურად უნდა მიეწოდებოდეს ინფორმაცია პასუხისმგებელი აუდიტორის შესახებ, ან აუდიტორმა ცენტრალური ბანკისგან უნდა მიიღოს წინასწარი თანხმობა გარე აუდიტის ჩატარების უფლებამოსილებაზე, თუ შეყვანილი არ არის ცენტრალური ბანკის მიერ დამტკიცებულ აუდიტორთა რეესტრში;
- აუდიტორულ ფირმაზე ან მის თანამშრომლებზე ბანკის მიერ არ უნდა იყოს გაცემული არანაირი პირდაპირი ან არაპირდაპირი საკრედიტო სახსრები პირადი გარანტიით, თავად მათთვის, მათი მეუღლეებისთვის, ოჯახის არასრულწლოვანი წევრებისთვის ან რომელიმე საწარმოსთვის, რომელშიც ისინი ინდივიდუალურად ან ერთობლივად ფლობენ კაპიტალის 5% ან მეტ წილს, ან არიან მისი დირექტორთა საბჭოს წევრები. ცენტრალური ბანკის თანხმობით, ნებისმიერ ზემოხსენებულ პირს შეუძლია ბანკიდან კრედიტის მიღება გარანტიით, მაგრამ არა პირადი გარანტიით;
- არ უნდა ჰქონდეს პირდაპირი ან არაპირდაპირი ინტერესი ბანკთან ან მის ფილიალებთან;
- ბანკის ან მისი ფილიალების მიერ არ უნდა იყოს დაქირავებული, როგორც მენეჯერი, მეკავშირე მხარე ან დასაქმებული.

2. ვადა. გარე აუდიტორი უნდა შეარჩიოს ABC ბანკის საერთო კრებამ საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე. ობიექტურობის უზრუნველსაყოფად, გარე აუდიტორს მოეთხოვება აუდიტის პარტნიორის შეცვლა სამი წლის შემდეგ. გარე აუდიტორი უნდა შეიცვალოს სულ მცირე ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც.

3. გარე აუდიტორის შეცვლის აკრძალვა. ბანკს გარე აუდიტორის შეცვლის უფლება არ აქვს იმ ფისკალური წლის განმავლობაში, რომლის აუდიტიც ტარდება, გარდა გარდაცვალების, აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის გადაწყვეტილების ან ისეთი შემთხვევის დროს, როდესაც მის მიმართ ხორციელდება სადამსჯელო ღონისძიებები.

4. გარე აუდიტორის უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა.

- გარე აუდიტორმა უნდა განიხილოს ბანკის საქმიანობა და უზრუნველყოს, რომ მისი ბიუჯეტი და ანგარიშები იმგვარად იყოს ორგანიზებული, რომ ნათლად ასახავდეს ბანკის საქმიანობის რეალურ სურათს. მას აქვს ბანკის ჩანაწერებთან, ანგარიშებთან, დოკუმენტებსა და ხაზინასთან წვდომის უფლება. ასევე უფლება აქვს, დირექტორთა საბჭოს მოსთხოვოს ყველანაირი ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მას დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში და, მამასადამე, საბჭომ გარე აუდიტორს უნდა მიაწოდოს ნებისმიერი ამგვარი ინფორმაცია. გარდა ამისა, გარე აუდიტორს უფლება აქვს, შეხვდეს შიდა აუდიტის განყოფილების ხელმძღვანელსა და აუდიტის კომიტეტს.
- გარე აუდიტორმა უნდა მოამზადოს დეტალური წერილობითი ანგარიში ბანკის საქმიანობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, რომელშიც:
 - საერთო კრებისთვის წარსადგენი ბიუჯეტი და მოგებისა და ზარალის ანგარიშგება შესაბამისობაში იქნება კანონმდებლობასთან, ბანკის ჩანაწერებსა და მის ფინანსურ მდგომარეობასთან;

- ის ბანკს სთავაზობს, რომ წლიური ბიუჯეტი დამტკიცდეს უცვლელად, არსებული სახით, ან აუდიტორის გარკვეული შენიშვნებით, ან დაუბრუნდეს დირექტორთა საბჭოს.
- დირექტორთა საბჭოს წევრებისა და ბანკის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელების პოზიცია იმის თაობაზე, რომ გარე აუდიტორს უნდა მიაწოდონ ყველანაირი მოთხოვნილი ინფორმაცია, რათა მან შეასრულოს თავისი მოვალეობები და შეძლოს ყველა არსებითი საკითხის გამოკვლევა, რომელიც საჭიროებს შესწავლას.
- აუდიტორმა უნდა დაიცვას ABC ბანკის ქვეყანაში აუდიტის პროფესიის მარეგულირებელი წესები და ნორმატიული აქტები, ასევე ამ ქვეყანაში პროფესიაში დამკვიდრებული პრაქტიკა და მეთოდები. ის უნდა დაესწროს საერთო კრებას, რათა აქციონერებს გააცნოს თავისი მოსაზრებები ბანკის შიდა აუდიტის სისტემის ეფექტიანობისა და ადეკვატურობის შესახებ, ასევე იმის თაობაზე, როგორ იცვას ბანკი კორპორაციული მართვის კოდექსსა და ამ კოდექსით დადგენილ წესებს და უპასუხოს აქციონერთა შეკითხვებს თავის ანგარიშთან დაკავშირებით.
- თუ გარე აუდიტორი აღმოაჩენს კანონმდებლობის ან ბანკის წესდების/შინაგანაწესის დარღვევებს, მან ამის თაობაზე წერილობითი ფორმით უნდა აცნობოს საბჭოს თავმჯდომარეს და კომპანიის საფინანსო მიმართულების ხელმძღვანელს; სერიოზული დარღვევების შემთხვევაში, უნდა აცნობოს შესაბამის უფლებამოსილ ორგანოს.

5. ქმედებები, რომლებიც ეკრძალება გარე აუდიტორს.

მოვალეობების შესრულებისას გარე აუდიტორს ეკრძალება:

- აუდიტორის უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, თუ ეს კანონმდებლობით არ მოითხოვება, ხოლო თუ ამის გაკეთებას კანონმდებლობა ავალდებულებს, ამგვარი კონფიდენციალური ინფორმაცია უნდა მიაწოდოს სათანადო უფლებამოსილ ორგანოებს;
- ისეთი მოსაზრების გამოთქმა, რომელიც ბანკის ფაილებში, ჩანაწერებსა და ფინანსურ მონაცემებში ასახული ფაქტების გაყალბებას ახდენს; ხელის მოწერა ანგარიშებზე, რომლის აუდიტი არ ჩაუტარებია თვითონ ან მის დაქვემდებარებაში მყოფ რომელიმე პირს;
- ბიუჯეტებისა და წლის ბოლოს შედგენილი ფინანსური ანგარიშგების სიზუსტის დამოწმება და ხელმოწერა, როდესაც ისინი, ფაქტობრივად, არ ასახავს იმ სუბიექტის რეალურ ფინანსურ მდგომარეობას, რომლის აუდიტის ჩატარებაც მას დაევალა;
- მცდარი დასკვნის/ინფორმაციის წარდგენა ნებისმიერი ანგარიშის, ანგარიშგების ან დოკუმენტის შესახებ, რომელიც მან მოამზადა პროფესიული დავალების შესრულებისას;
- თაღლითური ანგარიშების შედგენა ან ყალბი ინფორმაციის შემცველი დოკუმენტების დამოწმება, რომლებიც უნდა გამოიცეს კანონმდებლობის, ან პროფესიული სტანდარტებისა და პრაქტიკის შესაბამისად;
- დათანხმება ფიქტიური ან არარეალური მოგების განაწილებაზე.

6. გარე აუდიტორის პასუხისმგებლობა: იმის უზრუნველსაყოფად, რომ გარე აუდიტორმა მოვალეობები საუკეთესოდ შეასრულოს, კანონმდებლობა ითვალისწინებს სხვადასხვა სახის ჯარიმებს სხვადასხვა გარემოებისთვის.